№ 56 22 მაისი, კვირა 1866—1877 22 მაისი, კვირა № 56

ᲓᲠᲝᲔᲑᲐ

ᲒᲐᲛᲝᲥᲓᲘᲡ ᲙᲕᲘᲠᲐᲝᲥᲒᲘᲗ, ᲝᲗᲮᲨᲐᲒᲐᲗᲝᲥᲒᲘᲗ ᲓᲐ ᲞᲐᲠᲐᲡᲙᲔᲕᲝᲥᲒᲘᲗ

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ

ᲒᲐᲜᲝᲕᲘᲡ ᲥᲣᲩᲐᲖᲔ, ᲡᲢ. ᲛᲔᲚᲘᲥᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲢᲐᲛᲑᲐᲨᲘ, ᲐᲛᲐᲢᲣᲜᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲔᲑᲨᲘ. —

ᲮᲔᲚᲘᲡ-ᲛᲝᲬᲔᲠᲐ

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲨᲘ ᲓᲐ ᲡᲢ. ᲛᲔᲚᲘᲥᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲢᲐᲛᲑᲐᲨᲘ. ᲥᲐᲚᲐᲥᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ. ᲛᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲗᲐᲕᲘᲡ: Въ Тифлисѣ. Въ контору редакціи газеты „Дроэба“, при типографіи Меликова. —

ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲤᲐᲡᲘ

ᲬᲚᲘᲬᲐᲓᲨᲘ — 8 ᲛᲐᲜ., ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠ ᲬᲚᲘᲬᲐᲓᲨᲘ — 4 ᲛᲐᲜ. ᲓᲐ 50 ᲙᲐ�პ., ᲗᲕᲔᲨᲘ — 1 ᲛᲐᲜ.

ᲪᲐᲚᲙᲔ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ — ᲔᲠᲗᲘ ᲨᲐᲣᲠᲘ.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲐ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲡ, ᲠᲣᲡᲣᲚᲡ, ᲡᲐᲛᲮᲣᲠᲡ ᲓᲐ ᲤᲠᲐᲜᲪᲣᲖᲣᲚᲡ ᲔᲜᲔᲑᲖᲔ.

—

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲤᲐᲡᲘ

ᲓᲘᲓᲘ ᲐᲡᲝᲔᲑᲘᲗ, ᲐᲡᲝᲖᲔ — 1 ᲙᲐᲠ., ᲐᲡᲝ-ᲛᲔᲠᲣᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲡᲢᲠᲘᲥᲝᲜᲖᲔ — 8 ᲙᲐᲠ., ᲪᲘᲪᲔᲠᲝᲗᲘ, ᲡᲢᲠᲘᲥᲝᲜᲖᲔ — 5 ᲙᲐᲠ. ᲓᲐ ᲞᲔᲢᲘᲢᲘᲗ — 4 ᲙᲐᲠ.

—

ᲗᲣ ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲔᲑᲐ ᲛᲝᲘᲗᲮᲝᲕᲡ, ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ ᲒᲐᲐᲡᲬᲝᲠᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲨᲔᲐᲛᲝᲙᲚᲔᲑᲡ ᲒᲐᲛᲝᲒᲖᲐᲕᲜᲘᲚ ᲡᲢᲐᲢᲘᲔᲑᲡᲐ.

ᲓᲐᲣᲑᲔᲭᲓᲔᲚᲘ ᲡᲢᲐᲢᲘᲐ ᲐᲕᲢᲝᲠᲡ ᲐᲠ ᲓᲐᲣᲑᲠᲣᲜᲓᲔᲑᲐ.

ᲢᲔᲚᲔᲒᲠᲐᲛᲔᲑᲘ

ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡ ᲕᲔᲚᲘᲓᲐᲜ

ᲖᲐᲘᲛᲘ, 19 ᲛᲐᲘᲡᲘ. ᲒᲣᲨᲘᲜ ᲓᲔᲜᲔᲠᲐᲚ-ᲛᲐᲘᲝᲠᲘ Თ. ᲯᲐᲕᲯᲐᲕᲐᲫᲔ ᲡᲝᲤ. ᲑᲔᲚᲚᲘᲡᲗᲐᲜ ᲓᲐᲔᲪᲐ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲯᲐᲠᲘᲗ ᲛᲢᲠᲘᲡ ᲙᲐᲕᲐᲚᲔᲠᲘᲐᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲤᲐᲨᲐ ᲛᲣᲡᲡᲐ-ᲔᲣᲜᲓᲣᲡᲝᲕᲘ ᲛᲘᲣᲛᲓᲒᲝᲓᲐ ᲬᲘᲜ, ᲓᲐ ᲤᲘᲪᲮᲔᲚᲘᲡ ᲮᲔᲚᲩᲐᲠᲗᲣᲚᲘᲡ ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲓᲐᲐᲛᲐᲠᲪᲮᲐ ᲓᲐ ᲣᲙᲣ — ᲐᲥᲪᲘᲐ ᲛᲢᲠᲘᲡ ᲯᲐᲠᲘ. ᲩᲕᲔᲜᲔᲑᲡ ᲓᲐᲠᲩᲐ ᲝᲠᲘ ᲛᲗᲘᲡ ᲖᲐᲠᲑᲐᲖᲐᲜᲘ, ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲣᲣᲗᲘ ᲗᲝᲗᲣᲘᲡ-ᲬᲐᲛᲐᲚᲘ ᲓᲐ ᲔᲠᲗᲘ ᲑᲐᲘᲠᲐᲦᲘ. ᲛᲢᲠᲘᲡ ᲛᲮᲠᲘᲗ 80 ᲙᲐᲪᲘᲐ ᲓᲐᲮᲝᲪᲘᲚᲘ. ᲩᲕᲔᲜᲘᲡ ᲛᲮᲠᲘᲗ 6 ᲡᲐᲚᲓᲐᲗᲘ ᲛᲝᲭᲙᲚᲔᲡ ᲓᲐ 30 ᲓᲐᲭᲠᲘᲚᲘᲐ.

ᲛᲪᲘᲠᲔ ᲐᲖᲘᲘᲡ ᲙᲝᲠᲞᲣᲡᲘᲡ ᲡᲐᲠᲓᲐᲚᲘ ᲛᲣᲰᲗᲐᲠ-ᲤᲐᲨᲐ ᲒᲐᲛᲝᲪᲕᲐᲚᲔᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲡ ᲐᲓᲒᲘᲚᲡᲖᲔ ᲓᲐᲐᲣᲤᲜᲔᲡ ᲘᲖᲛᲐᲘᲚ-ᲤᲐᲨᲐ.

ᲩᲕᲔᲜᲛᲐ ᲛᲘᲚᲘᲪᲘᲝᲜᲔᲠᲔᲑᲛᲐ ᲐᲠᲖᲠᲣᲛᲘᲡ ᲢᲔᲚᲔᲒᲠᲐᲤᲘ ᲒᲐᲐᲤᲣᲭᲔᲡ.

ᲕᲔᲜᲐ, 19 ᲛᲐᲘᲡᲘ. ᲡᲢᲐᲛᲑᲝᲚᲘᲓᲐᲛ ᲘᲬᲔᲠᲔᲑᲘᲐᲜ, ᲠᲝᲛ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲦᲔᲚᲕᲐ ᲗᲐᲜ-ᲓᲐ-ᲗᲐᲜ ᲛᲐᲢᲣᲚᲝᲑᲡᲝ. ᲰᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲡ ᲧᲝᲕᲔᲚ ᲓᲦᲔ ᲔᲥᲜᲔᲑᲐ ᲡᲮᲓᲝᲛᲔᲑᲘ. ᲛᲪᲘᲠᲔ ᲐᲖᲘᲘᲡ ᲐᲠᲛᲘᲘᲡ ᲣᲤᲠᲝᲡᲘ ᲛᲣᲰᲗᲐᲠ-ᲤᲐᲨᲐ ᲒᲐᲛᲝᲪᲕᲐᲚᲔᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲐᲚᲨᲘ ᲛᲘᲪᲔᲛᲐᲡ ᲣᲰᲐᲠᲔᲑᲔᲜ ᲐᲠᲢᲐᲐᲜᲘᲡ ᲓᲐᲗᲛᲝᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ.

ᲐᲛᲑᲝᲑᲔᲜ, ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒᲔ ᲰᲐᲠ-ᲤᲐᲨᲐ ᲒᲐᲛᲝᲪᲕᲐᲚᲔᲡ ᲓᲘᲥᲢᲐᲢᲝᲠᲐᲓ ᲐᲛᲝᲐᲠᲩᲘᲝᲜ; ᲘᲡ ᲛᲝᲓᲘᲡ ᲡᲢᲐᲛᲑᲝᲚᲨᲘ. ᲡᲣᲚᲗᲐᲜᲘ ᲐᲓᲠᲘᲐᲜᲝᲞᲝᲚᲨᲘ ᲐᲮᲘᲠᲔᲑᲡ ᲬᲐᲡᲕᲚᲐᲡ.

ᲝᲖᲣᲠ�გᲔᲗᲘ, 19 ᲛᲐᲘᲡᲘ. ᲒᲣᲨᲘᲜ ᲡᲐᲦᲐᲛᲝᲡ ᲥᲝᲑᲣᲚᲔᲗᲘᲡ ᲰᲘᲠ-ᲓᲐ-ᲰᲘᲠ, ᲖᲦᲕᲐᲨᲘ, ᲗᲝᲠᲛᲔᲢᲘ ᲝᲡᲛᲐᲚᲘᲡ ᲮᲝᲛᲐᲚᲓᲘ ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲓᲐ. ᲓᲦᲔᲡ ᲘᲛ ᲐᲚᲐᲒᲐᲡ ᲛᲮᲝᲚᲝᲗ ᲔᲠᲗᲘ ᲯᲐᲕᲨᲜᲘᲐᲜᲘ ᲮᲝᲛᲐᲚᲓᲘ-ᲦᲐᲐ.

Ს.-ᲰᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘ, 20 ᲛᲐᲘᲡᲘ. ᲡᲔᲠᲑᲘᲐᲛ ᲐᲦᲘᲐᲠᲐ, ᲠᲝᲛ ᲝᲛᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ ᲘᲛᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲡᲘᲙᲔᲗᲝ ᲐᲠ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲐᲛᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲘᲢᲐ, ᲠᲝᲛ, ᲐᲛ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲝᲡᲛᲐᲚᲔᲗᲘᲡ ᲨᲣᲐ ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ, ᲜᲔᲘᲢᲠᲐᲚᲘᲢᲔᲢᲡ ᲓᲐᲘᲪᲕᲐᲕᲡ.

ᲕᲔᲜᲐ, 20 ᲛᲐᲘᲡᲘ (1 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ). ᲑᲔᲚᲒᲠᲐᲓᲘᲡ ᲰᲘᲠ-ᲓᲐ-ᲰᲘᲠ, ᲓᲣᲜᲐᲘᲨᲘ, ᲐᲕᲡᲢᲠᲘᲘᲡ ᲝᲠᲘ ᲮᲝᲛᲐᲚᲓᲘ ᲓᲐᲘᲐᲠᲔᲑᲐ.

ᲝᲛᲘᲡ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

ᲖᲝ�გᲘᲔᲠᲗᲝᲡ ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲣᲠᲘᲡ ᲒᲐᲖᲔᲗᲔᲑᲨᲘ ᲘᲬᲔᲠᲔᲑᲝᲓᲜᲔᲜ ᲐᲛᲐᲡ ᲬᲘᲜᲐᲗ, ᲠᲝᲛ ᲠᲘᲝᲜᲘᲡ ᲐᲢᲠᲘᲐᲓᲡ ᲑᲐᲗᲣᲛᲗᲐᲜ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔᲯᲔᲠ ᲤᲘᲪᲮᲔᲚᲘ ᲨᲔᲢᲐᲙᲔᲑᲐ ᲰᲥᲝᲜᲓᲐ ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘᲡ ᲯᲐᲠᲗᲐᲜᲐᲛ და ᲐᲛ ᲨᲔᲢᲐᲙᲔᲑᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲠᲣᲡᲔᲑᲘᲡ ᲛᲮᲠᲘᲗ 4,000 ᲙᲐᲪᲘ ᲓᲐᲘᲮᲝᲪᲐᲡ. ᲘᲡᲔᲕᲔ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ ᲐᲛ ᲒᲕᲐᲠᲐᲗᲕᲔ ᲤᲠᲐᲜᲪᲣᲖᲣᲚ ᲒᲐᲖᲔᲗᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲞᲐᲠᲘᲖᲔᲚ ᲝᲡᲛᲐᲚᲝᲡ ᲔᲚᲩᲘᲡ ᲔᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘᲐ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲠᲣᲡᲘᲡ ᲒᲐᲖᲔᲗᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ ᲙᲘ ᲒᲕᲐᲠᲬᲛᲣᲜᲔᲑᲔᲜ, ᲠᲝᲛ ᲔᲡ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ ᲡᲣᲚᲢᲧᲣᲘᲚᲘ ᲐᲠᲘᲡᲝ, ᲯᲔᲠ ᲑᲐᲗᲣᲛᲘᲡᲐᲙᲔᲜ ᲝᲡᲔᲗᲘᲡ ᲤᲘᲪᲮᲔᲚᲘ ᲨᲔᲢᲐᲙᲔᲑᲐ ᲐᲠ ᲰᲥᲝᲜᲘᲐ ᲦᲔᲜ.-ᲚᲘᲢ. ᲐᲙᲚᲝᲜᲑᲭᲘᲝᲡ ᲐᲢᲠᲘᲐᲓᲡ, ᲠᲝᲛ ᲑᲠᲫᲝᲚᲐᲨᲘ ᲐᲛᲓᲔᲜᲘ ᲙᲐᲪᲘ ᲓᲐᲮᲝᲪᲘᲚᲘᲧᲝᲡᲝ.

—

ᲔᲠᲗᲘ ᲤᲠᲐᲪᲣᲖᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲒᲕᲐᲠᲬᲛᲣᲜᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛ ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲡ ᲒᲐᲜᲫᲠᲐᲮᲕᲐ ᲐᲥᲕᲡ, ᲠᲝᲛ ᲔᲕᲠᲝᲞᲘᲡ ᲓᲐᲗᲐᲜᲬᲛᲔᲑᲘᲗ ᲘᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲡ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲝᲡᲛᲐᲚᲔᲗᲘᲡ ᲖᲦᲕᲐᲖᲔ ᲓᲐ ᲛᲝᲐᲠᲘᲒᲔᲑᲡ ᲘᲠᲘᲜᲘᲡ; ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘ ᲐᲛᲕᲐᲛᲐᲓ ᲔᲠᲗᲘᲡ ᲛᲮᲠᲘᲗ ᲪᲓᲘᲚᲝᲑᲡ, ᲠᲝᲛ ᲐᲛ ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲠᲣᲡᲔᲗᲡᲐ ᲓᲐ ᲝᲡᲛᲐᲚᲔᲗᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲛᲝᲰᲠᲘᲒᲔᲑᲘᲡ ᲞᲘᲠᲝᲑᲐᲜᲘ. ᲖᲝᲒᲘᲔᲠᲗ ᲠᲣᲡᲣᲚ ᲒᲐᲖᲔᲗᲔᲑᲡ ᲔᲡ ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ ᲒᲐᲜᲫᲠᲐᲮᲕᲐ, ᲠᲐᲡᲐᲙᲕᲘᲠᲔᲚᲘᲐ, ᲐᲠ ᲛᲝᲡᲬᲝᲜᲗ; ᲔᲠᲗᲘ ᲐᲛᲐᲗᲒᲐᲜᲘ ᲐᲛᲑᲝᲑᲡ, ᲠᲝᲛ „ᲩᲕᲔᲜᲘ ᲒᲖᲐ ᲡᲢᲐᲛᲑᲝᲚᲘᲡᲐᲙᲔᲜ ᲐᲠᲘᲡᲝ“.

—

ᲑᲐᲗᲣᲛᲔᲚᲘ ᲙᲝᲠᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲘ ᲔᲠᲗᲘᲡ ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲣᲠᲘᲡ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡᲐ ᲘᲬᲔᲠᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛ ᲨᲔᲘᲢᲧᲕᲔᲡ ᲗᲣ ᲐᲠᲐ ᲠᲣᲡᲔᲑᲛᲐᲝ, ᲠᲝᲛ ᲡᲮᲣᲛᲘᲡᲐᲙᲔᲜ ᲝᲡᲛᲐᲚᲝᲡ ᲯᲐᲠᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲩᲔᲠᲥᲔᲖᲔᲑᲘ ᲒᲐᲛᲝᲕᲘᲓᲜᲔᲜᲝ, ᲘᲛ ᲬᲐᲛᲡᲕᲔ ᲩᲣᲠᲣᲥ-ᲡᲣᲓᲐᲛ 15 ᲑᲐᲢᲐᲚᲘᲝᲜᲘ ᲒᲐᲒᲖᲐᲕᲜᲔᲡ ᲘᲥᲘᲗᲙᲔᲜᲐᲝ: ᲘᲛ ᲒᲐᲜᲖᲠᲐᲮᲕᲘᲗ, ᲠᲝᲛ ᲩᲔᲠᲥᲔᲖᲔᲑᲘᲡ ᲐᲯᲐᲜᲧᲔᲑᲐ ᲨᲔᲐᲩᲔᲠᲝᲜᲝ. ᲐᲥ ᲐᲛᲑᲝᲑᲔᲜ, ᲠᲝᲛ ᲠᲣᲡᲘᲡ ᲯᲐᲠᲔᲑᲘ, ᲡᲐᲪᲐ ᲙᲘ ᲩᲐᲘ�გᲓᲔᲑᲔᲜ ᲩᲔᲠᲥᲔᲖᲔᲑᲡ ᲮᲔᲚᲨᲘ, ᲣᲛᲝᲬᲧᲐᲚᲝᲗ ᲐᲬᲕᲐᲚᲔᲑᲔᲜ ᲓᲐ ᲮᲝᲪᲐᲕᲔᲜᲝ (?).“

ᲐᲛᲐᲕᲔ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲡᲢᲐᲛᲑᲝᲚᲔᲚᲘ ᲙᲝᲠᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲘ ᲘᲬᲔᲠᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛ ᲔᲠᲗᲘ ᲙᲐᲪᲘ ᲒᲐᲕᲒᲖᲐᲕᲜᲔ ᲐᲥᲔᲓᲐᲛ ᲨᲐᲕᲘ ᲖᲦᲕᲘᲡᲐᲙᲔᲜ ᲘᲛ ᲒᲐᲜᲖᲠᲐᲮᲕᲘᲗ, ᲠᲝᲛ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ, ᲠᲐᲪ ᲐᲛ ᲯᲐᲛᲐᲓ ᲡᲮᲣᲛᲘᲡ ᲛᲐᲖᲠᲐᲨᲘ ᲮᲓᲔᲑᲐ, ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲐᲓ ᲓᲐ ᲓᲐᲬᲕᲠᲘᲚᲔᲑᲘᲗ ᲨᲔᲕᲘᲢᲧᲝᲗᲝ.

—

ᲐᲛᲑᲝᲑᲔᲜ, ᲠᲝᲛ ᲒᲐᲛᲝᲩᲔᲜᲘᲚᲘ ᲕᲔᲜ. ᲒᲠᲘᲔᲚᲘ ᲓᲔᲜᲔᲠᲐᲚᲘ ᲙᲚᲐᲞᲙᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲝᲡᲛᲐᲚᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲨᲘᲐ, ᲐᲛ ᲛᲝᲙᲚᲔ ᲮᲐᲜᲨᲘ ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡᲐᲙᲔᲜ ᲛᲝᲓᲘᲡ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲝᲡᲛᲐᲚᲝᲡ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐᲛ ᲘᲡ ᲐᲥᲔᲗᲙᲔᲜ ᲒᲐᲛᲝᲒᲖᲐᲕᲜᲘᲚᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲯᲐᲠᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲡᲐᲠᲓᲚᲐᲓ ᲓᲐᲜᲘᲨᲜᲐᲝ.

—

ᲡᲢᲐᲛᲑᲝᲚᲘᲓᲐᲛ ᲘᲬᲔᲠᲔᲑᲘᲐᲜ, ᲠᲝᲛ ᲐᲥᲐᲣᲠᲛᲐ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐᲛ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲛᲪᲣᲠᲐᲕᲘ ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲔᲚᲘ ᲓᲐᲘᲭᲠᲐᲕᲐᲝ, ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐᲪ ᲛᲘᲜᲓᲝᲑᲘᲚᲘ ᲔᲥᲜᲔᲑᲐᲗ ᲘᲛ ᲢᲝᲠᲞᲔᲓᲔᲑᲘᲡ (ᲛᲘᲜᲔᲑᲘᲡ) ᲒᲐᲤᲣᲭᲕᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲠᲣᲡᲔᲑᲛᲐ ᲓᲣᲜᲐᲘᲨᲘ ᲒᲐᲐᲙᲔᲗᲔᲡ. ᲐᲥ ᲐᲛᲑᲝᲑᲔᲜ ᲐᲒᲠᲔᲗᲕᲔᲗ, ᲠᲝᲛ ᲝᲡᲛᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲣᲛᲗᲐᲕᲠᲔᲡᲘ ᲧᲣᲠᲐᲦᲚᲔᲑᲐ ᲑᲠᲐᲘᲚᲝᲕᲖᲔ ᲓᲐ ᲑᲐᲚᲙᲐᲜᲖᲔ ᲐᲥᲕᲗ ᲛᲘᲥᲪᲔᲣᲚᲘ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲓᲐᲠᲬᲛᲣᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲠᲘᲐᲜᲐ, ᲠᲝᲛ ᲠᲣᲡᲔᲑᲘ ᲐᲥ ᲛᲝᲠᲘᲜᲓᲝᲛᲔᲑᲔᲜ ᲓᲣᲜᲐᲘᲖᲔ ᲒᲐᲓᲐᲡᲕᲚᲐᲡᲐᲝ.

—

ᲐᲠᲢᲐᲐᲜᲘᲡ ᲐᲦᲔᲑᲐᲡ, ᲔᲠᲗᲘᲡ ᲜᲔᲛᲔᲪᲣᲠᲘᲡ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲡᲘᲢᲧᲕᲘᲗ, ᲘᲡ ᲣᲛᲗᲐᲕᲠᲔᲡᲘ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲑᲐ ᲐᲥᲕᲡ, ᲠᲝᲛ ᲓᲦᲔᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲣᲐᲠᲡᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲠᲖᲠᲣᲛᲘᲡ ᲒᲖᲐ ᲠᲣᲡᲔᲑᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲨᲔᲙᲠᲣᲚᲘ ᲘᲥᲜᲔᲑᲐᲗ ᲓᲐ ᲐᲛᲜᲐᲘᲠᲐᲓ ᲐᲠᲖᲠᲣᲛᲘᲓᲐᲛ ᲝᲡᲛᲐᲚᲝᲔᲑᲘ ᲣᲐᲠᲡᲡ ᲕᲔᲠᲪ ᲯᲐᲠᲡ ᲛᲝᲐᲮᲓᲛᲐᲠᲔᲑᲔᲜ ᲓᲐ ᲕᲔᲠᲪ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲘᲐᲠᲐᲦᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲣᲠᲡᲐᲗᲡ ᲛᲘᲐᲬᲕᲓᲔᲜᲔᲜ ᲐᲛ ᲪᲮᲝᲒᲔᲨᲘ ᲓᲐᲛᲬᲣᲓᲔᲣᲚ ᲯᲐᲠᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲚᲔᲑᲡ. ᲐᲛᲜᲐᲘᲠᲐᲓ, ᲐᲠᲢᲐᲐᲜᲘᲡ ᲐᲦᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ, ᲝᲡᲛᲐᲚᲔᲑᲘ ᲘᲫᲣᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲘᲥᲜᲔᲑᲘᲐᲜ, ᲫᲐᲚᲐᲗ ᲙᲘ ᲐᲠᲐ, ᲗᲐᲕᲘᲡ ᲜᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲣᲗᲛᲝᲜ ᲣᲐᲠᲡᲘ ᲠᲣᲡᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲯᲐᲠᲘ ᲒᲐᲠᲡ ᲨᲔᲛᲝᲠᲢᲧᲛᲔᲑᲐ ᲘᲛᲐᲡ ᲓᲐ ᲗᲣ ᲐᲠ ᲓᲐᲜᲔᲑᲓᲐ, ᲨᲘᲛᲨᲘᲚᲘᲗ ᲣᲜᲓᲐ ᲐᲛᲝᲬᲧᲚᲝᲗ.

—

ᲘᲡᲔᲗᲘ ᲓᲘᲓᲘ ᲪᲔᲪᲮᲚᲘᲡ ᲒᲔᲛᲘ ᲝᲡᲛᲐᲚᲔᲗᲘᲡᲐ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲗᲝᲠᲗᲔᲑᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲘᲐᲠᲐᲦᲘᲗ ᲡᲐᲕᲡᲔ ᲬᲐᲛᲝᲡᲣᲚᲐ ᲐᲛ ᲗᲕᲘᲡ 6-Ს ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲓᲐᲛ. ᲔᲡ ᲒᲐᲠᲔᲛᲝᲔᲑᲐ ᲝᲙᲔᲐᲜᲨᲘ ᲛᲧᲝᲤ ᲠᲣᲡᲘᲡ ᲒᲔᲛᲔᲑᲡ ᲨᲔᲣᲢᲧᲕᲘᲐᲗ ᲓᲐ ᲣᲧᲐᲠᲐᲣᲚᲔᲑᲔᲜ ᲗᲣᲠᲛᲔ, ᲠᲝᲛ ᲠᲝᲒᲝᲠᲛᲔ ᲔᲡ ᲪᲔᲪᲮᲚᲘᲡ ᲒᲔᲛᲘ ᲩᲐᲘ�გᲓᲝᲜ ᲮᲔᲚᲨᲘ ᲐᲜ ᲝᲙᲔᲐᲜᲨᲘᲔᲕ ᲓᲐᲚᲣᲞᲝᲜ.

—

ᲤᲔᲚᲢᲝᲜᲘ

ᲜᲐᲤᲘᲫᲠᲘ ᲓᲐ ᲜᲐᲜᲐᲮᲘ

ᲑᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲘ ᲗᲘᲗᲥᲛᲘᲡ ᲛᲘᲬᲣᲠᲣᲚᲨᲘᲐ. ᲕᲘᲜ ᲘᲪᲘᲡ — ᲠᲐ ᲑᲔᲓᲘᲡ ᲓᲐᲓᲒᲐ ᲔᲡ ᲬᲚᲔᲕᲐᲜᲓᲔᲚᲘ ᲒᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲘ? ᲠᲐᲡ ᲛᲝᲘᲢᲐᲜᲡ ᲐᲛ ᲒᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲨᲘ ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲥᲛᲔ? ᲕᲘᲡ ᲒᲐᲐᲮᲐᲠᲔᲑᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲧᲕᲐᲕᲘᲚᲔᲑᲘᲗ ᲓᲐ ᲕᲘᲡ ᲨᲐᲣᲬᲣᲮᲔᲑᲡ ᲒᲣᲚᲡᲚ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲓᲐᲡᲣᲡᲮᲣᲚ ᲙᲕᲘᲠᲘᲢᲔᲑᲘᲗ? — ᲧᲕᲔᲚᲐ ᲔᲡ ᲠᲩᲔᲑᲐ ᲓᲐᲑᲣᲠᲣᲚᲘ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘᲡ ᲣᲑᲡᲙᲠᲣᲚᲨᲘ, ᲙᲕᲔᲠᲐᲕᲡ ᲬᲐᲛᲚᲘᲡ ᲑᲝᲚᲨᲘ ᲡᲐᲨᲘᲨᲐᲠ და ᲛᲐᲮᲘᲜᲯᲡ ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲡ, და ᲒᲕᲘᲥᲐᲓᲡ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲔᲠᲗ ᲛᲫᲕᲘᲜᲐᲠᲔ ᲑᲠᲫᲝᲚᲐᲡ ᲓᲘᲓᲘᲮᲜᲘᲡ, ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚᲐᲗ ᲓᲐᲛᲢᲔᲠᲔᲑᲣᲚ ᲮᲐᲚᲮᲗ ᲨᲝᲠᲘᲡ....

ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲐᲠ ᲒᲔᲒᲝᲜᲘᲡᲗ, ᲠᲝᲛ ᲛᲔ ᲕᲐᲠᲘᲔᲑᲓᲔ ᲐᲜ ᲐᲮᲚᲐᲜᲓᲔᲚ ᲝᲛᲘᲐᲜᲝᲑᲐᲖᲔ ᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲡ, ᲐᲜᲣ ᲔᲕᲠᲝᲞᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐᲖᲔ ᲓᲐ ᲐᲜ ᲡᲮᲕᲐ ᲠᲐᲛᲔ ᲐᲛᲒᲐᲕᲐᲠ ᲡᲐᲥᲛᲔᲔᲑᲖᲔ. ᲐᲛᲐᲔᲑᲘᲗ, ᲕᲘᲪᲘ, ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲡ ᲒᲐᲛᲝᲭᲔᲓᲘᲚᲘ ᲔᲥᲜᲔᲑᲐ ᲧᲣᲠᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲐᲠ ᲛᲡᲣᲠᲡ, ᲠᲝᲛ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲐᲪᲜᲝᲑᲘᲡᲐᲗᲐᲜᲐᲕᲔ ᲘᲛᲐᲡ ᲗᲐᲕᲘ ᲛᲝᲕᲐᲑᲔᲖᲠᲝᲗ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲐᲛᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲘ ᲣᲤᲠᲝ ᲡᲮᲕᲐᲐ. ᲛᲔᲪᲝᲜᲔ ᲙᲐᲪᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲒᲐᲓᲛᲝᲒᲐᲪᲝᲪᲔᲑᲗ ᲔᲠᲗ ᲬᲐᲛᲡ ᲛᲧᲣᲓᲠᲝᲗ ᲓᲐ ᲓᲐᲛᲨᲕᲘᲓᲔᲑᲣᲚ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘ, ᲡᲐᲪᲐ ᲝᲛᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡ ᲓᲠᲝᲔᲑᲐᲡ ᲖᲚᲐᲠᲐᲓ ᲘᲒᲝᲜᲔᲑᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲝᲑᲔᲜ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲘᲛᲘᲡ ᲮᲡᲝᲕᲜᲐᲡ. ᲒᲔᲧᲝᲤᲐᲗ ᲛᲐᲜᲓ ᲛᲫᲘᲛᲔ ᲰᲐᲔᲠᲨᲘ ᲗᲐᲕᲘᲡᲒᲐᲠᲔᲗᲘᲐᲜᲔᲑᲣᲚᲐᲓ ᲧᲝᲤᲜᲐ; ᲪᲝᲢᲐ ᲐᲥᲐᲣᲠᲘ ᲰᲐᲔᲠᲘᲪ ᲛᲝᲘᲡᲣᲜᲗᲔᲗ.

ᲔᲡ ᲛᲘᲗ ᲣᲤᲠᲝ ᲐᲓᲕᲘᲚᲘ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲗᲥᲕᲔᲜᲗᲕᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲑᲣᲜᲔᲑᲐᲖᲔ Ბ

Ყარსისაკენ რუსის ჯარს დიდი მზადება აქვს ამ ქალაქის ასაღებად. ამზადებენ თხრილებსა და პატარა სიმაგრეებს, მართავენ ზარბაზნებს და როცა ამ მიწის მუშაობას გაათავებენ, მერე ზარბაზნების დაშენას დაუწყებენო.

—

სტამბოლიდამ იწერებიან, რომ არტაანის ციხის კომენდანტი (უფროსი), ამ ქალაქის დათმობისათვის და ცუდი განკარგულებისათვის, ოსმალოს მმართებლობამ სამართალში მისცაო.

საქართველო

დღიური

*** დღევანდელ (შაბათს) საღამოსათვის დიდი მზადებაა ალექსანდროვის ბაღში. ძვემო ბაღი გაჩაღებული იქნება და 8 საათიდამ დაწყობილი გაუწყნარებლივ შუშხუნებს აუშვებენ; აქვე, ქვემო ბაღში, დარჭობილია სვეტები, რომლებზედაც აწერია სახელები ყველა იმ პირებისა და პოლკებისა, რომელთაც 1853-1856 ომის დროს, ყარსის აღების დროს, და ამ წელს გამოიჩინეს განსაკუთრებული მხნეობა.

ბაღში იტალიური ორკესტრი და პოლკის მუზიკა იქნება; აგრეთვე მომღერლები. შესვლა თითო აბაზათ არის. შემოსავალი როგორც მოგეხსენებათ, „წითელი ჯვარის საზოგადოების“ (ომში დაჭრილებისა და ავათმყოფ მხედრების) სასარგებლოდ არის დანიშნული.

*** ამბობენ, რომ ამგვარივე „სეირნობა“ უფ. ფელიხოვსკიმ ძუთაისშიაც უნდა გამართოსო.

სხვა კორრესპონდენტებთა შორის, ძალაქში, როგორც „თფილისის მოამბე“ გვაცნობებს, ჩამოსულა აგრეთვე ყველაზე უდიდესი ინგლისის გაზეთის „Times“-ის კორრესპონდენტი, რომელიც ამ დღეებში აქედამ ბრძოლის ველზე უნდა წავიდეს.

*** ასი კაცი ოსმალოს ტყვეები სტავროპოლისაკენ გაისტუმრეს აქედამ ამ თვის 15-ს. ამ ასს ტყვეში 4 აფიცერი იყო, რომელნიც მეორე კლასის ვაგონში ისხდნენ, დანარჩენი სალდათები მესამე კლასში. აფიცრებს მცხეთიდამ ტროიკებით გაისტუმრებენ, სალდათებს კი ქვევითად.

*** ჩვენ მივიღეთ თელავიდამ შემდეგი შენიშვნა:

„დღეს, 15 მაისს, სოფელს ქურდღელაურში ერთს მეღორეს რაღაც ლაპარაკი მოსვლია თავის აღასთან; ჩხუბის დროს ერთ ღობეს შიგნი მდგარა და მეორე გარედგან. მეღორეს გაცხარების ლაპარაკის დროს ღობიდამ გაუპარებია ხანჯალი და მუცელში წაუკრავს. დაჭრილის მორჩენას აღარ იმედოვნებენ.

*** ჩვენ შევიტყეთ, რომ თფილისის კათოლიკე რომის ეკკლესიის წინამძღვარს (ადმინისტრატორს) პატერ იოსებ ხანუმოვს ერთი ღარიბი ქალის სასარგებლოდ, რომელიც ამ ეკკლესიასთან გახსნილს საქალებო შკოლაში სწავლობს, ათი თუმანი ფული შეუწირავს იმ პირობით, რომ ეს ფული, როცა ქალი გათხოვდება მაშინ მიეცემა.

„დროების“ კორრესპონდენცია

გორიდამ არტაანში

ამ ომიანობის გამო, მეც ვერ მოვისვენე და ერთ მშვენიერ მაისის დილას გამოვემშვიდობე გორის ქალაქს. ვაგზალზე ხალხი ჩვეულებრივიდ ბლომად დამიხვდა. ამ ბოლოს დროს ერთად-ერთ სასეირო ალაგათ გორელებს ვაგზალი გადაექცათ; თუკი ყური მოკჭრეს, ტყვეები ან დაჭრილები მოჰყავთო, მთელი გორი მოიგლიჯება ვაგზალისკენ და უფრო ხშირათ პირ-დაღებული დარჩებიან ხოლმე—ერთმანეთს ატყუებენ.

მოვიდა მატარებელი, ჩავჯექ და გაუდექი გზასა. გორის გარეშემო მდებიერობას, რომ შევხედე უნებლიედ მომაგონდა ჩვენი ქართული ენის მეცნიერი ბროსეს სიტყვები, რომელმაც გაშინჯა თუ არა ხალხი და მდებიარება, ბოლოს ეს აზრი წარმოსთქვა:

„სამოთხეში შეეფდი და ეშმაკებით სავსე დამხვდაო.“!

ვაგონებში ხალხი ბლომათ ისხდნენ და მათ შორის ქართველი მილიციონერებიც, რომელნიც ღვინოს შეექცეოდნენ და „ძვრიკის ლექსის კილოზედ ამ ახალ სიმღერას მღეროდენ.

სალდათი ვარ სალდათი.
წავალ კაზარმაშია.
რუსო, კარი გაალე,
ამხანაკათ მოვდივარ.
ბოლში ვჭამოთ ბოლშია,
პოსლე ბუდეთ ქაშია!
პატომ ბუდეთ ვაინა:
წაგვიყვანენ ომშია,
ოსმალის პახოდშია!
დედას წიგნი მივწეროთ:
აქა გუევართ ომშია!
ტყვიაც მოდის გულშია და სხვ.

ვიდრე ხაშურამდის აქეთ-იქიდგან მთები, ჭალები და მინვდრები მშვენივრათ ყვითელ-წითლათ ელანდებოდა კაცს და ჭირნახულისას კი ნუღა მკითხამთ: ცხენოსანი კაცი შიგ დაიმალება.

ხაშურიდგან ჩავჯექ ტროიკაში და ბორჯომამდე ორ საათს მოუნდი.

ბორჯომი ამ ჟამად ომიანობის შიშის გამო, ძალიან მოწყენილ სახეს წარმოგვიდგენს.

აქედგან აწყვერს საღამოს შვიდ საათზე მივედით. გზაზე სულ მშვენიერი შოსეა დაგებული და ის უწინდელი კლდეებზე ახეთქებ-ჩახეთქება კაცს აღარ სჭირდება. ეს გზა ბორჯომიდგან ახალციხემდე სულ ორიოდ წელიწადი იქნება, რაც გადააკეთეს.

მეორე დილით რვა საათზე ახლციხესაც მოვედით. ახალციხე სრულებით დაცარიელებული დამიხვდა, ჯარი მხოლოდ ორიოდ როტა ციხეს ყარაულობენ დანარჩენნი სულ ბრძოლის ველზე გახვეტილან და ხალხიც მიმეტებულნი ნაწილი თან სავაჭროთ დასდევნიან. ახალციხელებს სრულებით არა ფრის შიში არა აქვსთ! მაგრამ, როგორც მოგეხსენებათ, ჭორებს კი ბევრს ავრცელებენ. არდაჰანის აღების დროს მთელი ახალციხე სამი დღე და ღამე ფეხზე მდგარა, რადგანაც ხმა გავარდნილიყო, რომ აჭარელებმა სამ-ათასამდე კაცმა სამზვარზე ყაზახები ამოხოცესო და ახალციხეზე მოდიანო. ეს ამბავი, მართალია, ყოფილა და უფრო ართაანიდგან გამოქცეულებს აბრალებენ, მაგრამ იმდენათ კი არა, როგორც აზვიადებენ; მხოლოდ ახალციხის სამზღვარზე ორ საყარაულოს დასცემიან. სხვაფრივ ახალციხეშიაც ყველაფრის სიძვირე ძრიელ არი.

ათ საათზე ამდენ ჭორებისაგან მეც კი შეშფოთებული ახალქალაქისკენ გამოვემგზავრე. გზები აქეთკენ ძრიელ ცუდია. ბაზეზ ახალციხიდგან მოყოლებული განუწყვეტლივ წინ მხვდებოდენ: ჩავლადრები, ურმები და ფურგუნები, რომელთაც თოფის წამალი და სხვა გვარი საომო ძასალები გადაეზიდათ ახალქალაქს. სხვათა შორის წინ შემხვდა ართაანს მიმავალი სამხედრო აფთიაქი წინ გამოკიდებულ წითელ ჯვრიან დროშით. ერთის სიტყვით, საითაც მიიხედამდით, ყოველივე საგანი ომიანობას გაგონებდათ. ხირთვიზში შემხვდა ერთი ქართველი აფიცერი, რომელიც წინ მოუძღოდა საომარ სურსათს. აქვე ვნახე სასოფლო მასწავლებელნიც, რომელნიც უფ. ლიხაჩოვის გამგეობის ქვეშე იმყოფებიან;—წარმოიდგინეთ, რვა თვეზედ მეტია, გროში ჯამაგირი არ ვიციოთ და ამ საძვერეში ძალლუმადურათ ვცხოვრობთო!...

ღამის ცხრა საათზე ახალქალაქსაც მოვედით. მეორე დილით ახალქალაქში დამიხვდა დაბანაკებული ართილერია თავის ზარბაზნებით, რომელნიც ართაანი აეღოთ და ზუმბრისკენ მიემგზავრებოდნენ. მთელი ახალქალაქის ხალხი გარს ეხვევოდა აღტაცებული სიხარულით. შემდეგ 25-მდე ტყვეც მოიყვანეს, რომელთა შორის აფიცრებიც ერია და ერთი ფაშაც, და დღეს, 14 მაისს, თფილისისკენ გამოისტუმრეს. ამასთანავე დღეს მოიტანეს ართაანში წართმეული ჯერ-ჯერობით ცამეტი ზარბაზანი; ეს ზარბაზნები ახალქალაქის მეიდანზე აწყვია და ხალხი დიდიდგან პატარამდე ჭიანჭველებივით ეხვევიან. ახალქალაქშიაც ჯარი სულ ორი როტაა. შიში სრულებით არა არის რა, რადგან აქედამ ართაანამდის თითქმის 140 ვერსი ითვლება.

ართაანის აღების დროს ძალიან ანბავი ყოფილა: მთელი ახალქალაქი სეირის საყურებლათ იქ დასწრებია და აბა წარმოიდგინეთ რა დიდ-ძალ სიმდიდრეს გადმოიტანდნენ. ერთის სიტყვით, ყველაფერი ოხრათ ყოფილა: ხალიჩები, ოქროს და ვერცხლის ნივთები და მეტადრე ოსმალურ თოფებს ორ-ოლ აბაზათ ყიდულობდენ. ართაანის აღებაზე ქართველ აფიცრებს ძალიან უსახელებიათ თავი, ყველაზედ უწინ ძვალიევი ავარდნილა ციხეზე და თუმცა ორ ალაგას დაიჭრა, მაგრამ საშიშოთ კი არა. ამავე დროს ჩიჩუაც დაიჭრა და ახ-

---

სასურველი. მთელი ისტორიის აზრი მაგაზეა დაფუძნებული და მთელი კაცობრიობა მაგის მიმდევარია. ეს სწორეთ იმ ზღაპრის კვერცხსა ჰგავს, რომელსაც მუდამ მისდევდენ და ვერ დაეჭირათ, და იმ დევნაში ათას შემთხვევას გადაკიდებოდნენ. შვეიცარიაც, რასაკვირველია, კაცობრიობის კანონს ვერ გადუდგება....

ბაგეგონებათ, რომ მთელს ევროპაში ეხლა მუშა ხალხი ცდილობს როგორმე შეიმსუბუქოს თავის ტვირთი თუ დღიური ფასის აწევით, თუ მუშა დღის შემცირებით. რასაკვირველია, საქმე ძრიელ ნელა მიდის, მაგრამ მიდის კი. მაგალითებრ: ინგლისში მუშა დღე დაყენებულია 10 საათზე; შაბათს 8-ზე. ახლა კიდევ ცდილობენ ესეც შეამცირონ. ამის თაობაზე მთელი კომისიაა გამართული.

რა მნიშვნელობა აქვს ამ კანონებს, სჩანს იმ სიტყვებიდგან, რომელსაც ხმაროობენ ინგლისელები (და მგონი ჩვენებური ვაჭრებიც): „დრო იგივე ფულია“. მე ამას დაუმატებ კიდევ: „და კაცობრიობის დაცვაც“.

მართლაც, აბა წარმოიდგინეთ თქვენ 15, 16 და ხან 18 საათის მუშაობა, რომელიც კიდევ ასე გახშირებულია ბევრ ადგილას. რას ემზგავსება ამისთანა მუშა? დაქანცული მოვა სახლში და დაეგდება მჩეარივით ნაგავში, საცა მოუსვენარი მღოღვარები თავისუფლათ დაეძგერებიან თავის მსხვერპლს... მისი ცხოვრება ორ ნაწილათ არის გაყოფილი: მუდამ ერთნაირათ სხეულის მოძრაობა და ტვინის დაჩლუნგვა; მერე—სხეულის გამოკვება და მისი დაშოშმანება. არავითარი დაკმაყოფილება სულის მოთხოვნილებისა და ტვინის გასართობი, ყოველიფერი, რაც კაცს მიაჩნია უმაღლესს განძათ, რისთვისაც თავისუფალი კაცი ცხოვრობს, რასაც შეტრფის, ერთი სიტყვით რაც კაცს კაცათ ხდის და ცხოვრებას ამშვენებს;—ეს ყოველივე იმისთვის გაუგებარი რჩება. ახლანდელ საუკეთესო და განათლებულ დიდ ქალაქებში ხშირათ ნახავთ იმისთანა გამხეცებულ კაცს, რომელიც ბევრათ არ განირჩევა ავსტრალიის ტყის კაცისაგან.

ცხადია, რომ მუშაობის დროის შემცირება დიდი რამ არის მუშა ხალხისთვის *). მარტო ის რათ ღირს, რომ იმდენ ჯაფას იშორებს თავიდამ; იმას რჩება—როგორც ინგლისში—14 საათი თავისუფალი. სულ ხომ ძილში ვერ გაატარებს ამ დროს! გაიწმინდება, პირს დაიბანს, წავა, გაისეირნებს, ქვეყანას შეხედამს, კაცს გამოელაპარაკება, თავის საცოლოს წაიყვანს სადმე სასეირნოთ. ერთი სიტყვით, ათას რამ სიამოვნებას გადაეკიდება. მაგრამ ევროპაში მუშა ხალხი იმდენათ განათლებულია და თანამედროე ცხოვრება ისე ესმის, რომ ბევრ დროს ტყუილა-უბრალო ხეტიალში არ დაკარგავს. ის ჟურნალებს და წიგნებს კითხულობს, მუშა ხალხის მდგომარეობას იხილავს, კრებებში დადის და სჯიან ამ საგანზე; ერთი სიტყვით, ის უფრო კაცურ ცხოვრებას ატარებენ.

ამ სამი წლის წინეთ აქ მიენდო მართებლობას კომისიისთვის ფაბრიკების კანონების განხილვა. წელს წარმოედგინათ პროექტი, რომელშიაც ბევრი კანონები მუშა ხალხის სასარგებლოთ იყო გაკეთებული, მაგალითად: მუშა დღის შემცირება, ბავშებისთვის და ქალებისთვის შრომის შემსუბუქება.

აქაური ფაბრიკანტები ცდილობენ

*) მანასწორ დროს შემცირებისა, დღიურ ფასსაც არ ამცირებენ; ეკანომიური კანონი იმნაირია, რომ დღიური ფასი მიილტვის ერთსა და იმავე წერტილამდე, რომელსაც ვერც ზევით ასცილდება დიდხანს და ვერც დაბლა დაიწევს. ეხლანდელ დროში თითქმის არავითარი კავშირი არ არსებობს ნამდვილ მუშის მუშაობასა და ამ მუშაობის ფასს შუა. ეხლა მხოლოდ იმდენი ეძლევა მუშას, რომ შეეძლოს ცხოვრება, როგორმე, თუ გინდ მან შეიმუშავოს ოცი იმდენი. მთელი ეხლანდელი მუშა-ხალხის მოძრაობა იმაზეა მიმართული, თუ როგორმე გასწორონ დამუშავებული დღიურ ფასთან, ესე იგი გახდნენ მფლობელი თავის ნამუშევრისა. ავტ.

ლად პეტერბურღიდგან მოსული მუსხელოვი, სულ ოცდა სამი წლის ყმიწვილი კაცი კი მოგვიკლეს.

Ართაანი დიდ-ძალი საჭმელ-სასმელით სავსე ყოფილა; მწახველები ამბობენ, მთელ ოთახობით ქიშმიში, ბრინჯი და ერბოთი სავსე ედგათო. Დღე დღეზე კიდევ დიდძალ ტყვეებს და ზარბაზნებს მოველით. სხვა ახალ ამბებს დაწვრილებით შემდეგში გაცნობებთ.

Ილ. Ალხაზაშვილი

ქ. Ახალქალაქი, მაისის 15-ს

რაჭიდგან, 14 მაისს. (Დასარული). Ბაიარა სიყუჩით, წყნარად რამოდენმა ხანმა მას აქეთ, რაც გააჩაღეს რაჭველებმა კანცელარიები, შკოლები, მაღაზიები, გზები; გაიჩინეს ცხენები ჩინოვნიკების იქით-აქეთ სასეირნებლათ და სხვ., და ბოლოს შარშან ხვანჭკარის საზოგადოებამ რაჭაში, არ ვიცი—ვისი შესმენით და დარიგებით, გამართა გამსესხებელ-შემნახველი ბანკი; ამ ბანკის სულის ჩამდგმელათ მაინც და მაინც უნდა ითვლებოდეს უფ. რაჭის მაროვის პოსრედნიკი, Ალ. Ჯაყელი, რომელმანც, როგორც ამბობენ, ათასი მანეთი შესწირა ხსენენულს ბანკს. Უ. Ალექსანდრე Ჯაყელს მე პირ-და-პირ არ ვიცნობ, არაოდეს არ მქონია იმასთან არავითარი საქმე და ამიტომ არ შემიძლიან იმაზე, როგორც კაცად-კაცზე, ვიქონიო ჩემი მსჯელობა; მაგრამ რომ შევადგინოთ ამ კაცზე სჯა იმ ხმების ძალით, რომელიც ყოველ დიდს და მცირე რაჭის სოფლებში არაინ დანთხეული, ეს კაცი გამოდის ახლანდელ დროში იდეალურ არსებად, რომელმანც არ იცისო, თუ რა არის ბოროტება, ქრთამი, კაცის ტანჯვა, უსამართლობა, ანგარ-მოყვარეობა და სხვ. Ღმერთმა ჰქნას, რომ ამ პატიოსანი კაცის მაგალითის წაბაძვით ზნეობით გამოიცვალონ სხვებიც სამსახურით მისი ძმები.

მეტად-მეტი თვალ-ყურის სადევნებელი არის ეს ბანკი, რადგანაც იმის მაგალითს შეუძლიან ჩვენში სხვა სოფლების საზოგადოებასაც აფიქრებინოს იმისთანავესი თავისთვის დამყარება.

ხვანჭკარის ბანკის დაარსება იყო უკანასკნელი საზოგადო საქმე რაჭაში; ამის დაარსებით თითქო რაჭას მოესპო ყოველივე მოთხოვნილებაები, ყოველივე წყურვილი წინ წასვლისა. მას აქეთ აღარ აღძრულა არცერთი ყურადღების ღირსი საქმე და ან თუ აღიძრა სწრაფათ დაჩუმდა, გადაავიწყდათ.

რომ ვინმემ გვკითხოს—თუ რა გვაკლია?—ჩვენ ჩავფიქრდებით და ვერას უპასუხებთ, და თუ რომ გვკითხონ:—რა გვაქვს? ამ კითხვის პასუხათაც მარტო სიჩუმე იქნება. რატომ? Იმიტომ რომ არ ვიცით—რა გაგვაკეთებინეს აქამომდე და ან აწ რის გაკეთება არის საჭირო.

ჩვენ გვინდა წინამძღოლი, მაგრამ ისეთი წინამძღოლი, რომელიც ყოველთვის ჩაგვძახოდეს—თუ რისი გაკეთება არის საჭირო, რა არის ჩვენთვის სასარგებლო და რა უსარგებლო, მავნებელი და მაზიანებელი.

ჩვენს სოფლებში ინტელლიგენციის წარმომადგენლებათ უნდა ჩავთვალოთ მღვდლები, ჩვენი სულიერი მამები. ჩვენდა საუბედუროთ, ეს ჩვენი წინამძღომლებიც ვერ იმეტებენ ორ გროშს, რომ გაზეთები რა არის—წაიკითხონ და ქვეყნის ამბები გაიგონ და ჩვენც აგვიხილონ თვალი...

მაგრამ რომ კარგა იფიქროს კაცმა, არც კი არიან გასამტყუნარნი რაჭველები, რომ ლიტერატურას თვალ-ყურს არ ადევნებენ: მართლათაც, რა ქნან, როდესაც გზის უქონლობა ართმევთ იმათ ყოველივე შეძლებას თავის დროზედ მიიღონ გაზეთ-ჟურნალები. Ვინც იწერს რომელიმე გაზეთს, ღებულობს ხოლმე თხუთმეტ ან თექვსმეტ დღის შემდეგ დაბეჭდვისა და ამით, რასაკვირველია, გაზეთი ინტერესს ჰგარგავს. Ამას კიდევ თავი დავანებოთ, მაგრამ საქმე აი რაშია—ხშირათ სრულებით იკარგებიან გაზეთის ნომრები და მათ ასავალ-დასავალს ვერ გებულობს ადამიანი. Ყოველ კვირაობით დაბა Ოსნიდგან ქუთაისში იგზავნება ერთი იასაული, რომელიც მოვალე არის მიიტან-მოიტანოს სახელმწიფო ქაღალდები, კერძო პირების წერილები, გამოცხადებაები, გასაგზავნ-გამოსაგზავნი გაზეთები, ჟურნალები და სხვა. Ზამთარში ხომ, როცა თოვლი აფუჭებს ხოლმე გზებს, რაჭა მთელი თვეობით შორდება დანარჩენ ქვეყანას და რაჭველმა არა იცისრა გარდა მისა, რაც ხდება მის ოთახში და ეზოში.

Ამისთანა მდგომარეობაში დიდხან გვხედავს ჩვენ ჩვენი მახლობელი მოავრობა, მაგრამ ყურსაც არ იბერტყს; იცის, რომ ჩვენ თავმდაბალი ხალხი ვართ, ხმის ამოღების გვეშინიან და ამიტომ არაფერს ზრუნავს ჩვენთვის.

ზევით ვსთქვით, რომ ჩვენ სხვა მაზრებზე ნაკლებ გადასახადს არ ვიხდით-მეთქი. Თუ კიდე გვაკლია რამე, გვითხრან და მივსცემთ, ოღონდ გაგვასწოროს ჩვენც სხვა ქუთაისის გუბერნიის მაზრებთან, მოგვანიჭოს ჩვენც ის, რაც იმათ აქვთ: გაგვიკეთოს ჩვენც Ოსნიდგან ქუთაისამდე ეკიპაჟით სავალი, ფოჩტის გზა, მოგვიხმაროს რაშიდაც დავსჭირდეთ; ჩვენ როგორც აქამომდე არაფერში არ გვითქვამს უარი, ისე არც ახლა ვეტყვით, თავს არ დავიზოგავთ. Ნაქერალას რომ მიგვაყენონ, მივადგებით და გადავაბრუნებთ, ოღონდ ჰქნას სიკეთე და გამოგვიხსნას ამ მდგომარეობისაგან. Მართალია, ჩვენი ქვეყანა ნამეტანი მთა-გორა ადგილი არის, მაგრამ ეს უნდა არ იქნეს ჩვენი დანარჩენ ქვეყანასთან დამაშორებელ მიზეზათ, რადგანაც არიან ქვეყნები ჩვენს ქვეყანაზე უფრო მთა-გორიანი, მაგრამ იქ არა თუ შოსსები, რკინის გზებიც ბევრი მუშაობენ.

Სიტყვა არ უნდა, რომ ცუდ დროს აღვძარით ჩვენ ეს კითხვა, ახლა ჩვენი გზის გარდა სხვა საქმეც ბევრი აქვს მთავრობას, მაგრამ იმ მოაზრების ძალით, რომ ომიანობის დროსაც არ ჩერდება სრულებით შინაგანი საქმეები, ჩვენ ვბედავთ ვსთხოვოთ, ვისდამი ჯერ არს, მიაქციოს ყურადღება ჩვენს შეევიწროებულს მდგომარეობას, იზრუნვოს ჩვენთვის საფოსტო გზის გაკეთებაზე და შეაერთოს ჩვენი მხარე სხვა საქართველოს კუთხეებს...

Ზოგოლეთელი

უცხო ქვეყნები

Ოსმალეთი

სტამბოლის სოჭტების (სტუდენტების) არეულობის თაობაზე აი რას იწერებიან ერთ ფრანცუზულს გაზეთში:

„Ორი-ათასზე მეტი სოჭტი ერთის ყვირილითა და ამბით მოგროვდა პარლამენტის კარების წინ, მაედანზე და ქუჩებში.—Პარლამენტის თავსმჯდომარემ წინადადება მისცა იმათ, რომ, რადგან ყველასი ერთად ლაპარაკი არ შეიძლება გაიგოს კაცმაო, ამოარჩიონ ორი, სამი, ხუთი, ან რამდენიც ჰსურთ, პირი და იმათ მიანდონ ჩვენთან მოლაპარაკება და თავიანთ სურვილის გემოცხადებაო.

„Იმწამსვე სამი სოჭტი შეგზავნეს პარლამენტში თავის დეპუტატებად. Ამათ განაცხადეს თავის უკმაყოფილება ახლანდელ Ოსმალეთის მინისტრებზე და სამხედრო საქმეების გამგე პირებზე.—Ართაანი იმიტომ დავკარგეთ და სხვა ყველა უბედურება იმიტომ გვემართებაო, სთქვეს დეპუტატებმა, რომ ჩვენ იმისთანა უნიჭო კაცები გვყავს მმართებლობის მოთავე პირებად და მინისტრებად, როგორც Ზაჰმუდ-Დამატი და Რედიფ-ფაშა; ესენი უეჭველად გამოცვლილი უნდა იყვნენო და მათ ნაცვლად უფრო ნიჭიერი, გამოცდილი და პატიოსანი პირები უნდა დანიშნოს ხონთქარმაო. Აუცილებელად საჭიროაო აგრეთვე, რომ მიტჰხად-ფაშას ნება მიეცეს სტამბოლში დაბრუნებისაო.

პარლამენტის თავს-მჯდომარე დაპირდა სოჭტებს, რომ თქვენს სიტყვას სულთანს მოვახსენებო და რაც შესაძლებელი იქნება ვეცდებით, თქვენი ნატვრა ავასრულოთო. Მართლაც, თავსმჯდომარე იმწამსვე მთავარ ვეზირთან წავიდა და ესენი ორივენი ერთად მივიდნენ ხონთქართან ამ ამბის შესატყობელად. Ამ მანიჭესტაციის შედეგი ის იყო, რომ სტამბოლი სამხედრო მდგომარეობაში მყოფ ქალაქად გამოაცხადეს და ქუჩებში ჯარები ყარაულობენ, რომ რევოლიუცია არ მოხდეს. ხალხის მღელვარება და უკმაყოფილება თანდა-თან მატულობს სტამბოლში.“

საბერძნეთი

Ერთს რუსულ გაზეთში დაბეჭდილა შემდეგი ტელეგრამმა, Ათინიდამ მიღებული:

„12 (23) საბერძნეთის პარლამენტის უმრავლესობამ გადაწყვიტა, რომ ამ წამსვე Ოსმალეთს ომი უნდა გამოუცხადოთო.

Ოსმალეთის პროვინციებში—Თესალიაში და Ეპირში დიდძალი ჯარი მიდის თურმე Ათინიდამ; აქ კომი-

---

რომ ეს პროექტი არ მიიღონ; ამათ მოინდომეს ერთი აქაური კანონით სარგებლობა, რომელიც ამბობს, რომ თუ რომელიმე კერძო პირმა შეკრიბა 30,000 ხელის მოსაწერელი, რომელნიც უარს ყოფენ ახალი კანონის მიღებაზედ, მაშინ ის კანონი არ მიიღება. Მუშა-ხალხიც, რასაკვირველია, თავის მხრით ცდილობს, როგორმე გაატაროონ ის პროექტი (თუმცა კი მთლათ ვერ არიან კიდევ მითი კმაყოფილი). Იგინი უნდა შეკრებილიყვნენ სადმე და უნდა დათანხმებულიყვნენ. Ბააკრეს ქუჩებში გამოცხადება, როდის უნდა შეკრებილიყვნენ და სად.

Კვირა დღე იყო, 13 (1) მაისი. Დილას ცოტა ვითომ გამოიდარა. Აქა-იქ გაიშალა ღრუბელი და მზემ თვალები გამოაჭყიტა. ძალიან მიხაროდა, რომ დავესწრებოდი პირველათ ამისთანა შემთხვევას. Ნასადილევს ავედევნე ერთ ჩემ ნაცნობს და გაუდექი გზას. Წარმოიდგა ბავშობის სურათი თვალ წინ, როდესაც ვემზადებოდი დღესასწაულზე თემში წასვლა.

ჩვენ დავეშვით დალმართს და მიუახლოვდით ვაგზალს, საცა იყო დანიშნული კრება. Კარგი-გვარიანი გაშლილი მაედანია. Შორიდამვე გამოჩნდა წეროსავით გაბაწრული ხალხი; ხალხი ბევრი იყო. Ბოლოს ჩვენც მივაღწიეთ. Იყო სამის ნახევარი ნაშუადღევის. Რაკი ხალხში გაევრიეთ, დავკარგეთ ის მშვენიერი სანახავი, რომელსაც წარმოადგენდა ამდენი კაცის გროვა. ჩაგვიარა გვერდით კარგათ დაწყობილმა რაზმმა. ჩვენ შევჩერდით და დაუწყეთ ცქერა. Რიგზე დაწყობილი ოთხ-ოთხი კაცი იყო გაბაწრული კარგა გრძლათ. Აქა-იქ დროშებს ამოეყოთ თავი, სხვა და სხვა ფრად მოქარგულს და თავ-თავის დევიზებით: „ერთი ყველასთვის და ყოველივე ერთისათვის“, ანუ: „ჩვენი განთავისუფლება ჩვენზედვეა დამოკიდებული“ და სხვა და სხვა.

Ცოტა ხანს შემდეგ დაკრეს მარში და გაემართენ. Მეც გავზდიე პირველ წყებას. Ბავედით ხიდზე და ჩავყევით წყლის პირას. Დანიშნულ ადგილზე მივედით. Ერთი ფართო მაედანი იყო შამოზღუდული დიდი შენობებით; მთელი ეს მაედანი მოფენილია მაყურებლებით, ყაზარმებიდგან სალდათები იცქირებიან. Შუა ადგილას ამაღლებულია შენობა, საცა უნდა ელაპარაკათ დანიშნულ პირებს. Ჯერ დარჩეულ ყმარწვილებმა რაღაც იმღერეს. Მერმე შესდგა ერთი გაზეთის რედაქტორი იმ სიმაღლეზე და წარმოსთქვა სიტყვა კენჭის ყრაზედ.

Ამის შემდეგ წამოდგა ერთი ტან მორჩილი კაცი, შუა ხნის, თავშიშველა, ცეცხლის თვალებით და რაღაც უცნაურის ძალით შესძახა თავის მემამულეებს. მე არ მესმოდა ყოველი მისი სიტყვა, მაგრამ ვინც უნდა ყოფილიყო იქ, მიხვდებოდა ადვილათ, თუ როგორ უყვარდა იმ კაცს ის საგანი, რაზედაც ლაპარაკობდა. Რაზე ლაპარაკობს ის? Მუშა დღის შემცირებაზე. Ის იყო იქაური პროფესსორი და მასთანვე მმართებლობის წევრი. Ამისთანა დამცველები ჰყავს აქ მუშა ხალხს! სად პოულობდა ის კაცი იმდენ ძალას? Ბეგონებოდა აგერ თავის გულს შემოასკდებაო. Იმდენ ხალხს რომ გააგონოს, ის თავის თავს ძალას ატანდა და ყოველ სიტყვას მარცვლა-მარცვლა გამოჰყვიროდა. Ლაპარაკობდა ერთს საათზე მეტი. Ამ დროს წვიმამ დაუშვა; მაგრამ ჩვენი ორატორი მაინც არ გაჩერებულა, სანამ არ გაათავა რაც ჰქონდა სათქმელი....

მას შემდეგ ერთი სახალხო სიმღერა კიდევ იმღერეს. Მერე ერთმა მეხანიკმა წაიკითხა რეზოლიუცია, რომელშიაც იყო ნათქვამი, რომ მუშა ხალხმა უნდა იხმაროს ყოველი ღონის-ძიება პროექტის გაყვანისთვისაო.

შემდეგ დაუკრეს მუზიკა „მარსელიეზას“ ხმაზე და ხალხმა დაიწყო დაშლა. მე შევდექი იმ სიმაღლეზე და გადვიხედე. Ერთი ზღვა ხალხი ინძრეოდა; როგორც სწერდენ, იქ იყო 2,000 მუშა-ხალხი და 5,000 უბრალო მაყურებლები.

Კ. Დარკველი

ტეტები არის შემდგარი, რომელიც თავის ხარჯით აგზავნის იქითკენ ჯარსაო. Oვითონ ამ პროვინციებშიაც ხალხი ძალიან აღელვებულიაო და დღე-დღეზე იმის აჯანყებას უნდა მოველოდეთო; თექვსმეტი ათასი კაცი მზათ არის ბრძოლის ველზე გამოსასელელათაო.

წერილები

ბატონო მესტამბე!

საწყალ გლეხ კაცებს არსად არ გვაქვ ხმა, არავინ იგეთი ხვთისნიერი არ არი, რომა ჩვენი გული ტკივილი შეისმინოს და ხმა ამოგვაღებინონ. ჩვენი ნათქვამი ყველაყა სისულელეთ მიაჩნიათ, და ბრიყვებს გვეძახიან, თუნდ ჭკვიანური ქართულიც გამოურიოთ. შენ ყოფილხარ ჩვენი გლეხობის გამგონე, ღმერთმა გიშველოს, და დამრიგებელი, შენი ჭირიმე, და მითვინ შეგკადრე ე უთავბოლო ბრიყული ქაღალდი. დაცინვა არ ქცოდნია ჩვენისთანებისა და ვიცი არც მე დამცინეფ და ყურ მათხოვებ პატარა ხანს. მე ამისი ბადალი პატივი ცემა რა შემიძლიან თქვენი, მარა ღმერთი დაგიმადლებს და შეგიბრალებს.

Oმ დღეს ყური მოვკარ შენ გამოგზავნილ ქაღალდში ვილაც გლეხების ჩერჩეტობას და პირჯვარი გამოვისახე და ვთქვი: ვინ არი ე კურთხეული, რომა ჩვენი სიტყვა გაუგონია და სტანბით დაუხატავს-მეთქი? Uვალაფერი იმედი მქონდა და თუ ჩემი ნაჯერობნი შენამდი მოვიდოდა იმას როგორ წამოვიდგენდი; მარა მერე ჩვენებიანთ სვიმონიამ მითხრა:—კაცოვო, მავან ადგილას ერთი ჩინონიკი მესტანბე ყოფილაო, ი დალოცვილი თუ კარგი რამ შეუთვალე, ყველაყას გიიგონებსო და სტანბურათ დაბეჭდავსო, არც ფულს ითხოვს და არც ბატკანსო. მაშ ჩვენებურ მწერლებ როდი გავს, რო ბატი ფეხურს დაბლაქნიან და თითო მანათს თხოულობენო. ახლა მეც მინდა რამე გიამბო და ქითხე ყველაყა მოგახსენო შენებურათ, აგრემც ი შენი ჯალაბი გიდღეძელოს მერთმა! მარა რაღაც ბრიყული ნათქვამი რო არი, უკაცრაული ბძანებაა, გოჭმა კუდი გამოყოვო, მეც იგრე კი არ გამხადო, შეი ჭირიმე.

ახლა კი გეტყვი, მარა არ ვიცი, როგორ დავიწყო. ჩვე საწყლები ხო ყველაფერში უიღბლო ვართ; ყველაფერი რო მოგწერო, სა წავა, შენი ჭირიმე, შენი სტამბა სუ იმას მოუნდება და მაგას რათ გიზამ და იმდენი არც გოგრა მაქ და არც კალამი მიჭრის, რომ ყველაყა დალაგებით მოგახსენო. მე ეხლა ერთი გაჭირება და შეწუხება უნდა მოგახსენო და აბა ყური დამიგდე:

ჩვენი გაჭირება ის არი, რომე ექიმი არ გვყავ. Eქიმები როგორ არ არიან, სიღნაღში ერთი რო დაიძახო, ორმოცი ფეშლები გამოცვივიან მგლებივით და ერთი დოხტურიც გვყავ, მარა რათ გინდა, სახელათ ჩვენია და სახმარათ იმისი, ვისაც რამე უკნავის ჯიბეში. Sული ვის არ უყვარს, შენი ჭირიმე, მარა ე დოხტური ძილში და ფხიზლათ რო სულ ფულზე ბოღმობს, რო არ გამიგონია! „ბეწვის ხიდზე“ რო იყვე და წამლითვინ მიხვიდე, ჯერ ფულიდგან დაგიწყებს მასლაათობას და შეგიძლიან თუ არა, სუ ერთია იმითვინ: თუ არ მიცემ, ზედაც არ შეგხედავს. Wასაყვანათ რო მოგვინდება სოფლათ, თუმან და ნახევარ თუმან ნაკლე ორ ფეხ არ გადაადგამს, თუნდა რაში მუუყვანო.

Eრთხელ კბილები მტკიოდა და დაველრიჯე,—ერთი მიშველე რამე-მეთქი, და იმან წადიო, პირში დასაგუბებელი წამალი იყიდეო, მითხრა. Eგ ხო მეც ვიცი, რომ პირში დასაგუბებელი წამალი მინდა-მეთქი, მა ფეხზე დასადები რას მიშველის-მეთქი, შევკადრე; მე იმას ქითხე იმ წამლის სახელი დამიწერე-მეთქი. Eს შენაო და მიფრინა ქუჩაში, წინაღამ კეტი არ მდო თავში. Aმან კიდე თქვენი ჭირი წაიღოს; მე ფული ვერ მივე და მითვინ მიყო ეგრე, მარა საკურველი ეგ არი, რო ვინც ფულ აძლევს, არც იმას შველის-ყე.

Eრთხელ სიღნაღიდამ სამ ვერსზე მიყამდათ. Cხენი მიართვეს და ხუთი მანათიც, ოღონდ წამობძანდიო. მარა თქვენც არ მომიკვდეთ, თქვენ ტყუილზე არ დაგიფიცებ, ცოლშვილი არ მომიკვდეს, ის არ დაიძრა. მეორეთ კიდე ერთი დედაკაცი კვდებოდა. ძმარმა თხოვა, წამობძანდი და თუმან მოგართმევ ფეხი ქირასაო. ხვალ მოდი და წამოგყვებიო, უბძანა. Oმ დღე კი ვერ მოიკითხა იმ საწყალმა და მეორე დღეს თხოვა. Dოხტურმა შემოუტია, რატო გუშინ არ მოხველ, რო გითხარიო? რა ვქნა, შენი ჭიიმეო, გუშინ არ მეცალა და წამალიც მქონდა და იმას შევყურებდი, იქნება არგოს-მეთქი.—ჰოო, თუ შენ მაშინ არ გეცალა, მე კიდენ დღეს არა მცალიანო, წადი და ვინც გინდა, ის წაიყვანეო. B ვრი თხოვა ამ კაცმა ბევრი დიდ-კაცები შეუყენა, თუმანი ხელში აძლია და სამ თუმან ფეხის ქირას შინ მოგცემო, ოღონდ წამოდიო, მარა აბაა! ძნა ერთი გაქირი და არ გაყვა და არა! Mაშ აქ მაინც ამოვიყვან ავათმყოფს და აქ უექიმეო, თხოვა, მარა არც ამაზე დასცა დასტური; ვისაც გინდა აწამლებინეო. Bოლოს, როცა მოიღალა თხოვნით და ვერა გააწყო-რა, Oრუქუმიშიდამ მოიყვანა სხვა დოხტური, რადგან სიღნაღ მეტი არ იყო.

Rამდენი ამითანა ამბავი ვიცი იმისი, მარა ყველაყა როგორ მოგიყვე!

Aბა, შენი ჭირიმე, გაჭივრებაა, მარა ბალთამანია, რა ვიცი! Uეზნის დოხტური ამი მეტი არა გვყავ და ეგეც ეგრე გვექცევა და გაჭირება არ არი? Aდამიანი კვდებოდეს, ვერ მიბედავს იმ დალოცვილთან და რა გამოვიდა!

Sეშლები არიან და ზოგმა ინჩიც არ იცის და ვინც რამე იცის, ისიც იგრე იბერება; წამოსვლას კი არ დაიზარებს, მარა რა ი გინდა? Eრთი აბაზის წამალში მანეთს წაიღებს და დიდ დარდ გაწვევს, მორჩება, თუ მოკვდება!

Eგ არი, ჩემო ხემწიფეო, ჩვენი შეწუხება და თუ რამე წამალია, გვიშველე, შენი ჭირიმე. Oავი კი შეგაწყინე, მარა ღმერთი გადაგიხდის, თუ გამოცემ ამას შენ ქახალდში, თუ არა და შენ აშვიდობით ბძანდებოდე!

Dავშთები შენი ფეხის ნატირფალა
ღვდლიანთ Lადიძე

12 მაისს, ქიზიყი

განცხადებანი

ქალაქის გამგეობისაგან

თფილისის ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს საყოველთაოდ, 1) რომ გამგეობის აღმასრულებელ ჩინოვნიკებს (исполнительные чиновники) მინდობილი აქვთ გამგეობისაგან, რომ ძალა დაატანონ ამ პირთა, რომელთაც რომელიმე გადასახადი წარსულ წლებისა ჯერ კიდევ არ შემოუტანიათ და რაც შეიძლება საჩქაროთ შემოატანინონ; 2) აღმასრულებელ ჩინოვნიკებს არა აქვთ უფლება, რომ ამ გვარ პირებს თვითონვე გამოართვან გადაუხდელი გადასახადი; იმათ მხოლოთ უნდა მოსთხოვონ ამ პირით ქალაქის გამგეობის კვიტანცია, რომ ეს ფული ქალაქის ხაზინაში შეტანილია. Aმის გამო ყველა კვიტანციები, რომელზედაც ამ 20 მაისიდან აღმასრულებელ ჩინოვნიკების ხელი იქნება მოწერილი, არ მიიღება მხედველობაში და ამ გვარ კვიტანციების პატრონებს ხელ-ახლად მოეთხოვება გადასახადი.

(3—2)

ქირით მიეცემა ქვრივი ღენერალ Eსაძეს სახლში კუკიაში ქოჩუბეის ქუჩაში **ზემო ეტაჟაში** ათი კარგი ოთახი თავის მოწყობილობით, თუ ისურვებს ვინმე შეიძლება მთელი სახლი სრულებით ერთათ მიეცეს ეს იგი ზეითი და ქვეითი ეტაჟა ამ სახლს ეზოში ბაღჩაც აქვს.

3—1

ბეჭდვიდგან გამოვიდა და ისყიდება
მეხუთე კარი

„ყარამანიანი“

სოლოლაკზე ს. ბ. მელიქიშვილის სტამბაში; ქუკიის ხიდზედ ფართანოვის საწიგნო მაღაზიაში.

ფასი 40 კაპ.

LA VELOUTINE
(ველუტინი)

ერთნაირი ბრინჯის **კუდრი** (უმარილი), ბისმუტით გაკეთებული.

Iსეთი ზედმოქმედება აქვს ადამიანის ხორცის კანზე, რომ ალბობს და ახალგაზდა ადამიანის კანს დაამსგავსებს.

Kანს ეკერება და არა სჩანს.

Ш. Фаи—гамомгоні

pommade satin
(ატლასის პომადა)

ხელების კანის რბილად შესანახავად; ზამთარში არ დაუკდება ხელის კანი, ეიც ამ პომადას ხმაროს.

9, Rue de la Paix, Paris

156—136

რკ. გზა.	დილა.		საღამ.		II კ.		III კ.	
Oფილისი .	9	21	5	18				
მცხეთა. . .	10	11	6	27	-	68	-	38
Bორი . .	11	58	9	43	2	40	1	23
ხაშური . .	1	29	11	57	3	92	2	18
სურამი. . .	1	44			4	42	2	46
Uვირილა .	5	49			5	81	3	23
რიონი. . .	6	47			6	75	3	75
სამტრედია .	7	41			7	73	4	29
Aხ.-სენაკი .	—	—			8	57	4	76
Sოთი. . .	9	40			9	75	5	42
Sოთი . .	9	13						
Aხ.-სენაკი.	—	—			1	18	-	66
სამტრედია.	11	16			2	6	1	14
რიონი . .	12	13			3	4	1	69
Uვირილა. .	1	18	ღამე		3	98	2	21
სურამი. . .	5	12	1	10	5	33	2	96
ხაშური . .	5	39	1	37	5	84	3	24
Bორი . .	7	5	4	8	7	36	4	9
მცხეთა .	8	50	6	59	9	8	5	4
Oფილისი .	9	31	7	56	9	75	5	42

ცეცხლის გემები

a) Sოთიდამ მიდის:
Oდესისკენ—ხუთშაბათს დილით.
სტამბოლს—კვირაობით, დილას.

b) Oდესსიდამ:
Sოთისკენ—ხუთშაბ., ნასად. 3 საათ.
სტამბოლს—ოთხშაბათს, შუადღეზე

Sოთიდამ:	I		II		III	
სოხუმამდი .	4	„	3	„	1	„
ქერჩამდი. .	20	50	15	50	5	„
ტაგანროგ.	34	„	27	„	8	60
Oდესსამდი.	38	„	30	„	9	60

ტელეგრაფი

	მ.	კაპ
Oცი სიტყვა Oფილისიდამ:		
ქუთაისს, Sოთს . .	1	—
Bორს, Dუშეთს, სიღნახს		50
როსტოვს Oდესას მოსკოვს	2	—
პეტერბურგს, Wარშავას . .	2	—
Oსმალეთში, შვეიცარიაში	3	—
Iტალიაში და საფრანგეთში.	3	50
Iნგლისში.	3	75

ფოსტა

a) Oფილისიდამ:
წამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს—ყოველ დღე კვირას გარდ. ზუგდ. ოთხშ., Oზურგეთს — პარასკ და ორშაბ. ბაქოს — ორშ. სამშაფ. და შაბ. ქახეთს — სამშ. და შაბ.

b) ქუთაისიდამ:
Oფილისისა და Sოთისაკენ—ყოველ დღე, კვირას გარდა. Oზურგეთს—ორშ. და პარასკ. ზუგდიდს—ოთხშაბ.

g) Bორიდამ.
Yოველგან ყოველ დღე, კვირას გარდა.

d) Sოთიდამ:
Yოველგან ყოველ დღე, კვირას გარდა.

წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ:	კაპ
Lია წიგნის	4
Dაბეჭდილის (სამი მისხალი) .	8

ბირჟა

	მან.	კაპ
პეტერბურგი, 15 მაისს		
Eრთი მანეთი ლირს:		
ლონდონში $3^1/_2$ პენსი.	—	78
პარიჟში 269 სანტიმი.	—	81
Mსკონტი (სარგებლისფასი)	$7^1/_2$	—
ბანკის ბილეთი 5%	96	—
მოგებიანი (პირველისესხი)	191	
მოგებიანი (მეორე ხესხი)	185	—
Bირაოს ფურცლები:		
Oფილ. საზნ. ბანკისა.	—	--
ხერსონის ბანკის ($5^1/_2$)	81	—
მოსკოვის (5%). . . .	90	50
Aქციები:		
Oდესის სავაჭრო ბანკის	158	—
Sოთი-Oფილ. რკინ. გზის	—	—
შავი ზღვის ცეცხ. გემების	465	—
Kავკაზის და Mერკურის. .	202	—
პირვ. საზღვევ. საზოგ.	715	50
პეტერბ. საზღვევ. საზ.	235	50
მოსკოვის საზღვევ. საზ.	265	—

მაზანდა

	მან	კაპ
Oფილისი, 19 მაისს		
Sქვ. თეთ. ბანჯისაფთ.	1	30
Sქვილი წითელი. . .	1	20
ქერი ფუთი. . .	—	70
ბამბა Eრევნისა, ფუთი .	5	60
—Aმერიკისა, ფუთი. .	6	20
ბაპენტილი ბამბა ფთ.	7	—
მატყლი თუშური ფთ .	6	—
—Mარაქამისა ფთ. .	3	80
Aბრეშუმი ნუხური სტ.	3	—
ქონი, ფუთი. . .	4	—
ქონის სანთელი ფუთი.	6	—
სტეარინის სანთელი, ფ.	12	20
ხორცი ძროხისა, ლიტ.	—	75
—ცხვრისა, ლიტრა. .	—	75
სპირტი, ვედრო. . .	8	—
შაქარი, ბროც. ფუთი .	7	70
—ფხვნილი ფუთი . .	5	40
Uავა გრგვალი, ფუთი .	25	—
ზეთი ქუნჯუთისა თუნ.	1	20
Oქრო $^1/_2$ იმპერიალი. .	8	—

Дозволено цензурою. Тифлисъ, 22 Мая 1877 г. Типографія Меликова

ბამომცემელი ს. მელიქიშვილი რედაქტორი ს. მესხი.